ზიგმუნდ ფროიდი

კულტურით უკმაყოფილება

თარგმანი

ანა პეტრიაშვილისა
და გიორგი ხოშტარიასი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2012

ზიგმუნდ ფროიდი

კულტურით უკმაყოფილება

რედაქტორი: ნინო ჯავახიშვილი

დამკაბადონებელი: სოფიო კევლიშვილი

გარეკანის დიზაინი: თამარ ბასილია

© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

© 2012 ანა პეტრიაშვილი (ქართული თარგმანი)

ISBN 978-9941-18-128-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

კულტურით უკმაყოფილება

I

ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ ადამიანები საზოგადოდ არასწორი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ, ისინი ძალაუფლების, წარმატებისა და სიმდიდრისაკენ მიისწრაფვიან და სხვა ადამიანებშიც სწორედ ასეთი მიღწევები აღაფრთოვანებთ, ამ დროს კი, ჭეშმარიტ ღირებულებებს სათანადოდ ვერ აფასებენ. თუმცა ისიც მართალია, რომ ამგვარი ზოგადი მსჯელობისას იქმნება საფრთხე, დაგვავიწყდეს, როგორი მრავალფეროვანია ადამიანი და მისი სულიერი სამყარო. არსებობენ ცალკეული ადამიანები, რომელთაც თანამედროვეთაგან აღიარება არ აკლიათ, მიუხედავად იმისა, რომ ის პიროვნული თვისებები და საქმეები, რომელსაც მათი სიდიადე ემყარება, შორს დგას ფართო მასების მიზნების და იდეალებისგან. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ ადამიანებს ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს დიდებულად და უმრავლესობას მათი გაგონებაც კი არ სურს, მაგრამ საკითხი ასე მარტივად მაინც არ დგას, რადგან ადამიანის აზროვნება და ქცევა ხშირად ერთმანეთს არ ეთანხმება, მისი სურვილები კი ძალზე მრავალფეროვანია.

ერთ-ერთი ასეთი დიდებული ადამიანი წერილებში ჩემს მეგობარს უწოდებს თავს.[1] მე მას ჩემი პატარა ნაშრომი გავუგზავნე, სადაც რელიგიას ვახასიათებ, როგორც ილუზიას. მან მიპასუხა, რომ მთლიანად დაეთანხმებოდა ჩემს აზრს, მხოლოდ წუხს, რომ მე რელიგიურობის ჭეშმარიტი საფუძველი არ გავითვალისწინე. ამ საფუძველს ის მოიაზრებს, როგორც განსაკუთრებულ განცდას, რომელიც პირადად მას მარად თან ახლავს და რომლის არსებობა მისთვის მრავალ ადამიანში ეჭვგარეშე, ხოლო მილიონებში სავარაუდოა. ამ განცდას იგი *„მარადისობის“* განცდას, რაღაც უსასრულოს, უსაზღვროს, „ოკეანურს“ უწოდებს და ამავე დროს ეს განცდა წმინდა სუბიექტური ფაქტია და არა რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის საკითხი. მას არ ერთვის უკვდავების დაპირება. ის მხოლოდ რელიგიური ენერგიის წყაროა, რომელიც სხვადასხვა ეკლესიამ და რელიგიურმა სისტემამ აითვისა, საკუთარ არხებში წარმართა და შეისისხლხორცა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება საკუთარ თავს რელიგიური ვუწოდოთ, თუ ეს „ოკეანური“ განცდა გვაქვს, თუნდაც ყოველგვარ რწმენასა და ილუზიას უარვყოფდეთ.

ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა, რომელმაც ძალზე პოეტურად მიაგო პატივი ილუზიის ამ სასწაულებრივ განცდას, დიდ საგონებელში ჩამაგდო თავისი მსჯელობით. საკუთარ თავში ასეთი „ოკეანური“ განცდის აღმოჩენა მიჭირს. გრძნობების მეცნიერული დამუშავება მოუხერხებელია, რადგან მათი მხოლოდ ფიზიოლოგიური მახასიათებლების აღწერაა შესაძლებელი. როდესაც ასეთი აღწერა შეუძლებელია – და მე ვშიშობ, რომ „ოკეანური“ განცდის შემთხვევაში სწორედ ასეა – ისღა დაგვრჩენია, რომ იმ წარმოდგენის შინაარსზე შევჩერდეთ, რომელიც ასოციაციურად ყველაზე ახლოს დგას ამ გრძნობასთან. თუკი ჩემი მეგობრისა სწორად მესმის, ის ამ განცდაში იმავეს უნდა გულისხმობდეს, რასაც ერთი განსაკუთრებული და მეტად ორიგინალური პოეტი, რომელიც თავის გმირს თვითმკვლელობის წინ ანუგეშებს: *„ამ ქვეყნიდან ჩვენი წასვლა შეუძლებელიაო.“* გამოდის, რომ ეს არის მთელ გარე სამყაროსთან გარკვეული ურღვევი კავშირისა და ერთიანობის განცდა.

ჩემი აზრით, ასეთი წარმოდგენა ჭეშმარიტად ინტელექტუალური შეხედულებაა ამ საკითხზე, რომელიც, რა თქმა უნდა, არც გარკვეულ ემოციურ ელფერსაა მოკლებული მსგავსად სხვა, ანალოგიური შინაარსის აზროვნების აქტებისა. პირადი გამოცდილება არ მარწმუნებს ამგვარი განცდის პირველად ბუნებაში, თუმცა კი, მხოლოდ ამაზე დაყრდნობით, მე უფლება არ მაქვს სხვა ადამიანებთან მისი ფაქტიური არსებობა უარვყო. საკითხავია მხოლოდ, თუ რამდენად სწორად განვმარტავთ ამ განცდას და აღიარებული უნდა იყოს თუ არა ის ყოველგვარი რელიგიური მოთხოვნილების *"fons et origo"*[2]-დ.

მე ვერაფერს შემოგთავაზებთ ისეთს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ამ პრობლემის გადაჭრისათვის. მოსაზრება, თითქოს ეს განცდა უშუალო, იმთავითვე მოცემული გრძნობის სახით არსებობს, და ადამიანი გარე სამყაროსთან საკუთარ კავშირს მისი მეშვეობით შეიცნობს, იმდენად უცხოდ ჟღერს და არ ეთავსება ჩვენს ფსიქოლოგიას, რომ ამგვარი განცდის ფსიქოანალიზური ახსნა, ანუ მისი წარმოშობის საკითხის განხილვა, აუცილებლად მიმაჩნია. დავიწყოთ იმით, რომ, ჩვეულებრივ, ყველაზე ცხადი ჩვენთვის საკუთარი თავის, ანუ „მე"-ს ("ეგო"-ს) განცდაა, რომელიც გამოცდილებაში დამოუკიდებელ, მთლიან, სხვა ყველაფრისგან მტკიცედ გამოყოფილ განცდად წარმოგვიდგება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კითხვა „ეგო"-სა და „იდი"-ს ურთიერთობის შესახებ უპასუხოდ დარჩა, ფსიქოანალიტიკური კვლევებიდან ჩანს, რომ შეხედულება ასეთი მკვეთრი ფარგლების არსებობის შესახებ მცდარია. სინამდვილეში „ეგო" – ფასადია, რომელიც შიგნით, მკვეთრი საზღვრის გარეშე ღრმავდება არაცნობიერ სულიერ არსებაში, რომელსაც ჩვენ „იდი" დავარქვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარეთა მიმართულებით „ეგო" მაინც ნათლად და მკვეთრად შემოსაზღვრული ჩანს. მხოლოდ ერთი არაჩვეულებრივი და არაავადმყოფური მდგომარეობის შემთხვევაში – სიყვარულის მწვერვალებზეა – ყველაფერი სხვაგვარად და ამ დროს არის შესაძლებელი „ეგო"-ს და ობიექტს შორის საზღვრის წაშლა. შეყვარებული ყოველგვარი წესის და მოსაზრების

საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ „მე“ და „შენ“ ერთი ხდება და იგი მზად არის შესაბამისად მოიქცეს კიდეც. ის, რის აღკვეთასაც გარკვეული ფიზიოლოგიური ფუნქცია დროებით ახერხებს, ცხადია, ავადმყოფური დარღვევის შედეგიც შეიძლება იყოს. პათოლოგიური შემთხვევების დროს გვხვდება უამრავი ისეთი მდგომარეობა, როდესაც საზღვარი „ეგო“-სა და გარე სამყაროს შორის შესუსტებული, ან დარღვეულია. არის შემთხვევები, როდესაც ეჩვენებათ, თითქოს საკუთარი სხეულის, ან სულის ნაწილები, აღქმები, ფიქრები, გრძნობები, უცხოა, ან არ ეკუთვნის „ეგო“-ს, ზოგჯერ კი პირიქით, ადამიანი გარე სამყაროს მიითვისებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დარღვევებს „ეგო“-ს განცდაც ექვემდებარება და თვით „ეგო“-ს საზღვრებიც არ არის მყარი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზრდასრული ადამიანის „ეგო“-ს განცდა თავიდანვე ვერ იქნებოდა სრულად ჩამოყალიბებული და ის თანდათანობით უნდა განვითარებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია განვითარების ამ პროცესის სრულყოფილად აღწერა და დასაბუთება, ვფიქრობ, ჩვენ საკმარისი ალბათობით ძალგვიძს მისი კონსტრუირება.* ახალშობილი ვერ ასხვავებს საკუთარ „ეგო“-ს გარე სამყაროსგან, რომელიც მას შეგრძნებების ნიაღვრის სახით წარმოუდგება. სხვადასხვა გამღიზიანებლის ზემოქმედებისას ის თანდათანობით სწავლობს ამ უკანასკნელთა ერთმანეთისგან გარჩევას. როგორც ჩანს, ბავშვზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ გაღიზიანების ზოგიერთი წყარო, რომელთა შორის შემდგომ საკუთარი სხეულის ნაწილებს ამოიცნობს, მას უწყვეტად უგზავნის შეგრძნებებს, მაშინ, როცა სხვა გამღიზიანებლები დროდადრო შორდება და მათ შორის ყველაზე საყვარელი – დედის ძუძუ – მხოლოდ ყურისწამღები ტირილის შემდეგ უბრუნდება. ამრიგად, „ეგო“-ს უპირისპირდება ობიექტი, როგორც რაღაც, რაც „გარეთ“ იმყოფება და საჭიროა განსაკუთ-

---

* იხ. ფერენცის მრავალრიცხოვანი შრომები „ეგო“-ს განვითარებისა და „ეგო“-გრძნობის შესახებ, დაწყებული „რეალობის გრძნობის განვითარების ეტაპებით“ დაწყებული (1913), პ. ფედერნის სტატიების ჩათვლით (1926, 1927, და ა.შ.)

რებული ქმედება მის დასაბრუნებლად. სხვა საშუალება „ეგო“-ს გასათავისუფლებლად, ანუ გარე სამყაროსგან მის გამოსადიფერენცირებლად, ხშირი და მრავალფეროვანი ტკივილის და უსიამოვნების შეგრძნებებია. სწორედ მათ მოსაშორებლად ილტვის შეუზღუდავად მბრძანებელი სიამოვნების პრინციპი. წმინდა სიამოვნების პრინციპი ცდილობს იდეით „ეგო“ შექმნას, რომლისთვისაც ყველაფერი უცხო და საშიში გარეთ დარჩება. გამოიკვეთება უსიამოვნების ყოველგვარი წყაროს მოშორების და მისი გარე სამყაროში გადაგდების ტენდენცია. ასეთი პრიმიტიული სიამოვნების პრინციპით მოქმედი „ეგო“-ს საზღვრები გამოცდილების მიღებასთან ერთად განუწყვეტლივ იცვლება. „ეგო“ ცდილობს შეინარჩუნოს ზოგიერთი რამ, რაც სასიამოვნო და დასაკარგად დასანანია, მიუხედავად იმისა, რომ „ეგო“-ს კი არა, ობიექტს ეკუთვნის და ზოგიერთი უსიამოვნო კომპონენტი კი, რომლის ჩამოცილებაც სასურველი იქნებოდა, „ეგო“-ს საკუთრება და მისი განუყოფელი ნაწილი აღმოჩნდება. ბავშვი სწავლობს შეგრძნებებისა და შესაბამისი მუსკულატურის გამიზნული მართვის ხერხებს, რათა შინაგანი „ეგო“-ს საკუთრება გარეგანი, გარე სამყაროში წარმოქმნილი რეალობისგან განასხვაოს. ამით ის პირველ ნაბიჯებს დგამს რეალობის პრინციპის ჩამოყალიბების გზაზე, რომელიც, თავის მხრივ, მის შემდგომ განვითარებას განსაზღვრავს. ეს განსხვავება, რა თქმა უნდა, პრაქტიკულ მიზანს – უსიამოვნო და საშიში გრძნობებისგან თავის დაცვას ემსახურება. სწორედ ის გარემოება, რომ შინაგანი წარმომავლობის უსიამოვნებების მოსაგერიებლად „ეგო“-ს არ გააჩნია სხვა მეთოდები, გარდა იმ მეთოდებისა, რომელსაც ის გარემოდან მომავალი უსიამოვნებების წინააღმდეგ იყენებს, შემდგომში მნიშვნელოვანი ფსიქიკური დარღვევების ამოსავალი წერტილი ხდება.

ამგვარად, „ეგო“ გამოეყოფა გარე სამყაროს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავდაპირველად „ეგო“ ყველაფერს მოიცავს და მხოლოდ შემდეგ იცილებს გარე სამყაროს. ჩვენი დღევანდელი „ეგო“-განცდა შეზღუდული ნაშთია რაღაც ფართო, ყოვლისმომცველი გრძნობისა, რომელიც ოდესღაც „ეგო“-ს და გარე სამყაროს

ურღვევ შინაგან კავშირს გულისხმობდა. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ეს პირველადი „ეგო“ მეტ-ნაკლებად შემონახულია მრავალი ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროში, შესაძლებელია, რომ მან ჩაანაცვლოს უფრო ვიწრო და მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული მოწიფულობის „ეგო“-განცდა, როგორც მოწინააღმდეგე. ამ შემთხვევაში, „ეგო“-სათვის დამახასიათებელი წარმოდგენების შინაარსი სწორედ უსაზღვრობა და სამყაროსთან ერთობა იქნება, სწორედ ის, რასაც ჩემმა მეგობარმა „ოკეანური“ განცდა უწოდა. მაგრამ გვაქვს კი იმის უფლება, რომ ყავლგასული, თავდაპირველის ნარჩენისა და მასზე აღმოცენებული გრძნობის თანაარსებობა დავუშვათ?

რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია და არა მარტო სულიერი ცხოვრების სფეროში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ცხოველთა სამყაროში უმაღლესი სახეობები უმდაბლესისაგან წარმოსდგება და ამავე დროს, სიცოცხლის უმარტივესი ფორმები დღესაც შენარჩუნებულია. დინოზავრები გადაშენდნენ და ადგილი ძუძუმწოვრებს დაუთმეს, მაგრამ მათი ოჯახის ნამდვილი წარმომადგენელი – ნიანგი – დღესაც არსებობს. ეს ანალოგია არცთუ ისე ზუსტია და ცოტა არ იყოს ნაკლოვანი, იმის გამო, რომ ხშირად, გადაშენებას გადარჩენილი პრიმიტიული სახეობები არ წარმოადგენენ დღევანდელი მაღალგანვითარებული სახეობების ნამდვილ წინაპრებს. შუალედური სახეობები კი მეტწილად გადაშენდა და მათი უმრავლესობა მხოლოდ რეკონსტრუქციის საფუძველზეა ცნობილი. რაც შეეხება სულიერ სფეროს, აქ პრიმიტიული იმდენად ხშირად შემოინახება მისგან განვითარებული წარმონაქმნების გვერდით, რომ ამის საილუსტრაციო მაგალითების მოყვანა ზედმეტად მიმაჩნია. ეს, თავის მხრივ, განვითარების დატოტვის შედეგია, რომლის დროსაც გარკვეული ინსტინქტური იმპულსები ევოლუციის ერთ საფეხურზე რჩება, ზოგი კი განვითარებას აგრძელებს.

ჩვენ აქ ვეხებით ფსიქიკურის შენახვის ზოგად პრობლემას, რომელიც ჯერ კიდევ დაუმუშავებელი, მაგრამ ამავე დროს უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი პრობლემაა და ამიტომ, მო-

ცემული შემთხვევისათვის მისი ნაკლები მნიშვნელობის მიუხედავად, ჩვენ მას მცირეოდენ ყურადღებას მაინც დავუთმობთ. მას შემდეგ, რაც დავძლიეთ მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ უბრალო დავიწყება მეხსიერების კვალის სრულ გაქრობას, განადგურებას არ ნიშნავს, ჩვენ იმ მოსაზრებას ვემხრობით, რომ ის, რაც სულიერ სფეროში ერთხელ აღმოცენდება – აღარასოდეს ქრება. ერთხელ აღბეჭდილი როგორღაც ინახება და შესაძლებელია, რომ სათანადო პირობებში – მაგ. ღრმა რეგრესიისას – ისევ ამოტივტივდეს ცნობიერებაში. ნათქვამის ნათელსაყოფად შევეცდები, სულ სხვა სფეროდან მოვიყვანო მაგალითი. საილუსტრაციოდ ავიღოთ მარადიული ქალაქის განვითარების ისტორია. ისტორიკოსები გვასწავლიან, რომ უძველესი რომი – Roma quadrata – შემოსაზღვრული დასახლება იყო პალატინის მთაზე. შემდგომ, Septimontium-ის პერიოდში, მოხდა ცალკეული ბორცვების დასახლებების გაერთიანება და ასე წარმოიშვა ქალაქი, რომლის საზღვარი სერვიუსის კედელზე გადიოდა, მოგვიანებით კი, რესპუბლიკური და იმპერიის ადრეული ხანის ყოველმხრივი სახეცვლილების შემდეგ, კეისარმა აურელიუსმა რომი კედლებით შემოზღუდა. მოდით ახლა ქალაქის განვითარების ისტორიიდან თანამედროვე რომში გადავინაცვლოთ და ვნახოთ, თუ რას იპოვის ყოველმხრივი ისტორიული და ტოპოგრაფიული ცოდნით აღჭურვილი სტუმარი ამ ადრეული სტადიებიდან. ავრელიუსის კედელს მხოლოდ მცირე დაზიანებებით, თითქმის შეუცვლელს იხილავს, გათხრების წყალობით ნაწილობრივ სერვიუსის თხრილსაც ნახავს. თუ მან მეტი იცის, ვიდრე დღევანდელმა არქეოლოგიამ, ამ კედლების და Roma quadrata-ს მთელი პერიმეტრის სურათის აღდგენასაც მოახერხებს, მაგრამ ის ან საერთოდ ვერ იპოვის იმ ნაგებობებს, რომელიც ამ სივრცეს ავსებდა, ან მხოლოდ მათ ნაშთებს აღმოაჩენს, რადგან ისინი კარგა ხანია, აღარ არსებობს. რესპუბლიკური პერიოდის რომის ისტორია მხოლოდ იმ ადგილების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, სადაც ამ ეპოქის ტაძრები და საერო შენობები იყო აღმართული. ახლა მათ ადგილას ნანგრევებია და ისიც არა იმ ნაგებობების, არამედ ხანძრებისა და ნგრევების შემდგომი რეს-

ტავრაციებისა. რომის ეს ნაშთები დღეს, რა თქმა უნდა, რენესანსის შემდგომ, ბოლო საუკუნეებში აღმოცენებული დიდი ქალაქის ქაოსშია გაბნეული, ზოგიერთი სიძველე კი, ალბათ ქალაქის ქვეშ, მისი თანამედროვე შენობების საფუძველშია ჩამარხული. ასეა შემონახული წარსული რომის ანალოგიურ ისტორიულ ქალაქებშიც.

მოდით, ახლა ერთი არაჩვეულებრივი რამ დავუშვათ: წარმოვიდგინოთ, რომ რომი, ადამიანებით დასახლებული ქალაქი კი არა, მსგავსი სიდიდის და მდიდარი წარსულის მქონე ფსიქიკური არსებაა და მასში ქალაქის მსგავსად ყველა წარმონაქმნი შენახულია, ხოლო განვითარების უკანასკნელი სტადიები კი ყველა ადრეული სტადიის გვერდით თანაარსებობს. მაშინ რომში ძველებური სიდიადით აღიმართებოდა პალატინზე კეისრის სასახლეები და სეპტიმუს სერვიუსის Septimontium; ანგელოზის ტაძრის კარნიზები ძველებურად დამშვენდებოდა ქანდაკებებით, როგორც ეს გოთების ლაშქრობამდე იყო და ა.შ. უფრო მეტიც, პალაცო კაფარელის ადგილას ისევ კაპიტოლინელი იუპიტერის ტაძარს ვიხილავდით, თანაც არა მის ნაცვლად და იმ უკანასკნელი სახით, რა სახითაც კეისრის პერიოდის რომი იცნობდა მას, არამედ მასთან ერთად და მისი პირვანდელი ეტრუსკული ფორმებით და თიხის ანტიფიქსებით დამშვენებულს. დღევანდელი კოლიზეუმის ადგილას გაუჩინარებული ნერონის Domus Aurea-ს სილამაზით დავტკბებოდით; პანთეონის მოედანზე, დღევანდელი ადრიანეს პანთეონის გვერდით, შესაძლებლობა გვექნებოდა გვეხილა აგრიპას თავდაპირველი ნაგებობა. Maria Sopra Minevra-ს ტაძარი ისევ ძველ საძირკველზე აღიმართებოდა, ამავე საძირკველზე აშენებულ გვიანდელ ტაძართან ერთად და მზერის მიმართულების, ან დაკვირვების ადგილის მცირედი ცვლილება, დამკვირვებელს ხან ერთი და ხან მეორე ნაგებობის ხილვის საშუალებას მისცემდა.

ცხადია, აზრი არა აქვს ამ ფანტაზიის გაგრძელებას, ის წარმოუდგენელ აბსურდამდე მიგვიყვანს. თუ ისტორიის მიმდინარეობის სივრცითი წარმოდგენა გვსურს, ეს მხოლოდ მისი ხატების ერთმანეთის გვერდით მოთავსებით არის შესაძლებელი. ერთი და იგივე სივრცე ორჯერ შევსებას ვერ იტანს. ჩვენი ცდა უაზრო